# განათლების თანამედროვე რეფორმების გამოწვევები ჩინეთში

**თეონა გელაშვილი**
ჩინეთის კვლევების კავკასიური ასოციაცია
თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, მიწვეული ლექტორი
ქ.თბილისი, ივ.ჭავჭავაძის გამზირი N1, 0179, საქართველო
+995 555 45 20 45. Teonaa.gelashvili@gmail.com
https://orcid.org/0009-0006-9689-0723

**აბსტრაქტი**

განათლების სისტემას ჩინეთში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ვინაიდან ის პიროვნული წარმატების, სოციალური მობილობისა და ეროვნული განვითარების გასაღებად ითვლება. ჩინეთის განათლების სისტემა მუდმივად ადაპტირდებოდა ქვეყნის საჭიროებებისა და პოლიტიკის მიხედვით, შესაბამისად თანამედროვე ჩინეთში მთავრობა ცდილობს ფეხი აუწყოს ახალ გლობალურ გამოწვევებს და დიდ ინვესტიციებს დებს განათლებაში, ხელს უწყობს STEM-ის სფეროებს[35], ამკვიდრებს ინოვაციებსა და მკაცრ აკადემიურ სტანდარტებს კვალიფიციური სამუშაო ძალის შესაქმნელად.

[35] STEM მოიცავს ოთხ მჭიდროდ დაკავშირებული სფეროს, როგორიცაა: მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია და მათემატიკა.

ამ სტატიის მიზანია, იკვლიოს თანამედროვე ჩინეთში მიმდინარე ძირითადი საგანმანათლებლო რეფორმები, კერძოდ ყურადღება გაამახვილოს, „ორმაგი შემცირების[36]“ (Ministry of Education of the People's Republic of China., 2021) პოლიტიკაზე, პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობასა და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციაზე საგანმანათლებლო სფეროში. აღნიშნული რეფორმები ასახავს ჩინეთის მთავრობის აღიარებას, რომ მომავალი ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა, ინოვაციური შესაძლებლობები და სოციალური ერთიანობა დამოკიდებულია უფრო დაბალანსებული, სამართლიანი და მომავალზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის შექმნაზე. მზარდი სოციალური ზეწოლის, პროვინციებს შორის არსებული უთანასწორობისა და შრომის ბაზრის ცვალებადი მდგომარეობის ფონზე, ჩინეთის მიდგომა რეფორმებისადმი ავლენს თამამ ამბიციას, რომ დღეს ჩინეთში განათლების ტრანსფორმაცია არ არის მხოლოდ მიმდინარე პრობლემებზე პასუხი, არამედ ეს არის სტრატეგიული გეგმა ქვეყნის მომავლის უზრუნველსაყოფად. ასევე სტატია გვთავაზობს ყოვლისმომცველ ხედვას იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობს ჩინეთი თავისი საგანმანათლებლო ლანდშაფტის შეცვლას XXI საუკუნის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, კერძოდ ტრადიციისა და ინოვაციის, ზეწოლისა და პროგრესის დაბალანსებით.

**საკვანძო სიტყვები:** ჩინეთის განათლების რეფორმა, ორმაგი შემცირების პოლიტიკა, საგანმანათლებლო ტექნოლოგიები, გამოცდებზე ორიენტირებული კულტურა, ჩინეთის განათლების მოდერნიზაცია.

---

[36] „ორმაგი შემცირების“ პოლიტიკა (双减政策) - გულისხმობს დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის საშინაო დავალებების რაოდენობის შემცირებასა და კერძო რეპეტიტორობის ინსტიტუტის შეზღუდვას.

**შესავალი**

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩინეთი გლობალურ ეკონომიკურ ძალად ჩამოყალიბდა და განათლებამ ამ ტრანსფორმაციაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. მსოფლიოში მრავალრიცხოვანი მოსახლეობისა და ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტუნარიანი აკადემიური გარემოს გამო, ჩინეთის განათლების სისტემა დიდი ხანია განიხილება როგორც ეროვნული პროგრესის მამოძრავებელ ძალად. დღეს ჩინეთი ერთგვარ გზაჯვარედინზე დგას, გაყვეს ტრადიციული განათლების მოდელს - რომელიც ხასიათდება მკაცრი სტანდარტიზებული ტესტირებით, მექანიკური სწავლებითა და სწრაფად მზარდი კერძო რეპეტიტორობის ინდუსტრიით თუ გადავიდეს თანამედროვე საგანმანათლებლო რეფორმაზე. რომელიც არა მხოლოდ სასწავლო გეგმების ცვლილებას ან გამოცდების ფორმატის კორექტირებას გულისხმობს, არამედ ასახავს უფრო ფართო ამბიციას, განავითაროს ინოვაციური ნიჭი, შეამციროს სოციალური უთანასწორობა, მხარი დაუჭიროს სტუდენტების ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასა და განათლება შეუსაბამოს ეროვნული განვითარების სტრატეგიულ მიზნებს. თანამედროვე რეფორმები კი სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების, სოციალურ-ეკონომიკური ხარვეზების გაფართოებისა და დემოგრაფიული მონაცემების ცვლილების კონტექსტში ხორციელდება, რაც მოითხოვს სწავლისადმი უფრო მოქნილ, ინკლუზიურ და მომავალზე ორიენტირებულ მიდგომას.

**მეთოდი**

სტატიაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევა და პოლიტიკური ანალიზის მიდგომა, თანამედროვე ჩინეთში საგანმანათლებლო რეფორმების ამჟამინდელი ლანდშაფტის შესასწავლად. კვლევა აერთიანებს ოფიციალური სამთავრობო პოლიტიკის დოკუმენტების, აკადემიური ლიტერატურის, მედიის რეპორტაჟების და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარ-

ტების მიმოხილვას, რათა გააანალიზოს როგორც ძირითადი რეფორმების მიზნები და ასევე შედეგები.

**მსჯელობა**

ჩინეთში თანამედროვე საგანმანათლებლო რეფორმების მნიშვნელობის გასაგებად აუცილებელია მისი საგანმანათლებლო სისტემის ისტორიული წარსულის გათვალისწინება. 1949 წელს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების დღიდან განათლება მჭიდრო კავშირშია ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ მიზნებთან, რომელიც რეფორმებითა და რევოლუციებით აღსავსე ცალკეული ფაზების გავლით განვითარდა. მათ შორის აუცილებლად უნდა გამოიყოს: (Zhang & Xie, 2016)

- მაოისტური ერა (1949–1976): რომლის პერიოდშიც, განათლება ერთგვარი იდეოლოგიური ინსტრუმენტი იყო. კომუნისტური მმართველობის პირველ ათწლეულებში განათლება ძირითადად სოციალისტური იდეოლოგიის პოპულარიზაციისა და მასობრივი წიგნიერების მიღწევის საშუალებად გამოიყენებოდა. ყურადღება გამახვილებული იყო პოლიტიკურ ინდოქტრინაციაზე, შრომაზე ორიენტირებულ განათლებასა და კლასობრივ ბრძოლაზე. ამ პერიოდში განათლებაზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, განსაკუთრებით კი სოფლად, მაგრამ აკადემიური სიმკაცრე და დამსახურებაზე დაფუძნებული კარიერული წინსვლა ხშირად იდეოლოგიურ ლოიალობას ექვემდებარებოდა. სამწუხაროდ კულტურულმა რევოლუციამ (1966–1976) დამანგრეველი გავლენა მოახდინა განათლებაზე. დაიხურა სკოლები და უნივერსიტეტები, ინტელექტუალები იდევნებოდნენ და აკადემიური საქმიანობა თითქმის შეუძლებელი გახდა. ამ პერიოდში ფორმალური განათლება დიდწილად

რევოლუციურმა ტრენინგებმა და ფიზიკურმა შრომამ ჩაანაცვლა. (Liu & Dunne, 2009)

- მაოს შემდგომი რეფორმები და ეკონომიკური გახსნილობა (1978–2000-იანი წლები): ტენგ სიაოფინგის „რეფორმებისა და გახსნილობის“ პოლიტიკის დაწყებით, განათლება მოდერნიზაციის ქვაკუთხედად გადაიქცა. კულტურული რევოლუციის დროს შეჩერებული „კაოქაო“[37] 1977 წელს აღდგა, რამაც განათლების სისტემაში მერიტოკრატია და კონკურენცია აღადგინა. 1980-იან და 1990-იან წლებში მთავრობამ დიდი ინვესტიციები ჩადო საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის აღდგენაში, უნივერსიტეტებში ხელმისაწვდომობის გაფართოებისა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ხელშეწყობაში. ამ პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა წიგნიერების, პროფესიული მომზადებისა და უმაღლესი განათლების გაუმჯობესებისკენ მიმართული ძირითადი პოლიტიკა.
- 21-ე საუკუნის განათლება: 2000-იანი წლების დასაწყისიდან ჩინეთში უმაღლესი განათლების სფეროში სწრაფი ზრდა შეინიშნება. კერძოდ, უნივერსიტეტებში მკვეთრად გაიზარდა ჩარიცხვის მსურველი სტუდენტების რაოდენობა. ამ მიმართულებით მთავრობამ წამოიწყო ინიციატივები, როგორიცაა „პროექტი 211“ და „პროექტი 985“[38], მსოფლიო დონის უნივერსიტეტების ასაშენებლად და გლობალური კონკურენტუნარიანობის წასახალისებლად. ამავდროულად, კერძო რეპეტიტორობის ზრდამ, მშობლების ზეწოლამ და ტესტებზე ორიენტირებულმა

---

[37] კაოქაო - უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები. ქართულად ითარგმნება როგორც უმაღლესი გამოცდა.

[38] „პროეტი 985“ - ფოკუსირებულია ინოვაციებზე, მაღალი რანგის პერსონალების მოზიდვაზე და შენარჩუნებაზე, საერთო განათლების გაუმჯობესებაზე, პოლიტიკასა და ინტერნაციონალიზაციაზე, ხოლო „პროექტი 211“ - ფოკუსირებულია უნივერსიტეტის საეთო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, დისციპლინების განვითარებაზე, საჯარო სერვისებსა და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობაზე.

კულტურამ ფართოდ გააღვივა შეშფოთება სტუდენტების ფსიქიკური ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო უთანასწორობისა და ინტელექტუალურად გადაწვის შესახებ. ამ ისტორიულმა მოვლენებმა კი საფუძველი ჩაუყარა დღევანდელ რეფორმებს, რომლებიც მიზნად ისახავს სტრუქტურული პრობლემების მოგვარებას, განათლების მიზნების შეცვლასა და სწავლის უფრო სამართლიან და ჰოლისტურ მიდგომას.

## მიმდინარე რეფორმების ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორები

თანამედროვე ჩინეთში საგანმანათლებლო რეფორმების ტალღა ეკონომიკური მოთხოვნების, სოციალური პრობლემების, დემოგრაფიული რეალობისა და პოლიტიკური იმპერატივების ურთიერთქმედებით არის გამოწვეული. (China State Council., 2019) ამ მამოძრავებელი ფაქტორების გაანალიზება უმნიშვნელოვანესია იმის გასაგებად, თუ რატომ გახდა რეფორმების გატარება საჭირო ახლა და რატომ იღებენ ისინი ასეთ ფორმას. როდესაც ვსაუბრობთ თანამედროვე რეფორმების საჭიროებზე, არ უნდა დაგვავიწყდეს გამოვყოთ ეკონომიკური ტრანსფორმაცია და სამუშაო ძალის საჭიროებები. ვინაიდან ჩინეთი შრომის ინტენსიური წარმოების ეკონომიკიდან ინოვაციების, მომსახურებისა და მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიების მიერ წარმართულ ეკონომიკაზე გადადის, მისმა განათლების სისტემამ ახალი უნარების მქონე კურსდამთავრებულები უნდა მოამზადოს. დღევანდელ ჩინეთში, ტრადიციულ, მექანიკურ სწავლებას მიჩვეული სტუდენტის ნაცვლად, საჭიროა ციფრული განათლების, კრეატიულობის, კრიტიკული აზროვნებისა და ტექნოლოგიური წიგნიერების მქონე სტუდენტი. ჩინეთის მთავრობა აღიარებს, რომ თანამედროვე, ადაპტირებადი სამუშაო ძალის გარეშე, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა შეიძლება სტაგნაციაში შევ-

იდეს. ამიტომ, რეფორმები მიზნად ისახავს განათლების ისეთ ეროვნულ სტრატეგიებთან შესაბამისობაში მოყვანას, როგორიცაა „დამზადებულია ჩინეთში 2025[39]“ და „ორმაგი ცირკულაცია[40]“, პროფესიული განათლების, STEM ტრენინგებისა და სამეწარმეო აზროვნების ხელშეწყობას.

რეფორმირების აუცილებლობას სოციალური ზეწოლა და საზოგადოების უკმაყოფილებაც განაპირობებს. კერძოდ, ჩინეთის განათლების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი დიდი ხანია ინტენსიური აკადემიური ზეწოლაა. მისაღები გამოცდებით, ხანგრძლივი და გაწელილი სასწავლო საათებით და კერძო რეპეტიტორობის ინდუსტრიით შეპყრობილობამ შექმნა სისტემა, რომელშიც როგორც მოსწავლეები, ასევე მშობლები ზედმეტად იყვნენ დატვირთულები. ეს ზეწოლა ფართოდ გააკრიტიკეს მოსწავლეების ფსიქიკური ჯანმრთელობის შელახვისა და სოციალური შფოთვის გაძლიერების გამო. (Sixth Tone, 2021) გარდა ამისა, საგანმანათლებლო უთანასწორობამ, განსაკუთრებით ქალაქსა და სოფელს შორის არსებულმა უფსკრულმა - გამოიწვია დიდი იმედგაცრუება და აღქმა იმისა, რომ აკადემიური წარმატება უფრო მეტად ოჯახური წარმომავლობით განისაზღვრება, ვიდრე დამსახურებით. ასეთ კლიმატში კი საგანმანათლებლო რეფორმა, სოციალური პოლიტიკის ისეთ ფორმად ჩამოყალიბდა, რომელიც მიზნად ისახავს უთანასწორობის შემცირებას და საზოგადოების ნდობის აღდგენას სისტემის სამართლიანობის მიმართ.

---

[39] „დამზადებულია ჩინეთში 2025“ (MIC25)- 2015 წელს იქნა წარდგენილი, როგორც ფართომასშტაბიანი ინდუსტრიული პოლიტიკა, რომლის მიზანია ჩინეთის 2025 წლისთვის მოწინავე წარმოების გლობალურ ლიდერად გარდაქმნა.

[40] „ორმაგი ცირკულაცია“- ჩინეთის ეკონომიკური სტრატეგიაა, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს შიდა მოთხოვნისა და ინოვაციების გაძლიერებას („შიდა ცირკულაცია“) და ამავდროულად ინარჩუნებს ჩართულობას გლობალურ ბაზრებთან („გარე ცირკულაცია“). მისი მიზანია ეკონომიკური თვითკმარობის გაძლიერება.

ასევე არ უნდა დავივიწყოთ ჩინეთის დემოგრაფიული გამოწვევებიც. ჩინეთში შობადობის შემცირება და მოსახლეობის დაბერება აიძულებს მთავრობას, შექმნას უფრო მხარდამჭერი გარემო ოჯახებისთვის. განათლების მიღებისათვის გაწეულმა მაღალმა ხარჯებმა და აკადემიურმა კონკურენციამ ბევრი ახალგაზრდა წყვილი აიძულა შვილების გაჩენისგან თავი შეეკავებინათ. (OECD, 2016) საშინაო დავალების დატვირთვის შემცირებით და რეპეტიტორობის აკრძალვით, მთავრობა მიზნად ისახავს მშობლობის ტვირთის შემსუბუქებასა და ოჯახების ზრდის ხელშეწყობას, როგორც მისი გრძელვადიანი დემოგრაფიული სტრატეგიის ნაწილი. და ბოლოს, პოლიტიკური და იდეოლოგიური პრიორიტეტები ჯერ კიდევ რჩება მნიშვნელოვანი დასაყრდენი ჩინეთის განათლების სისტემაში. კერძოდ, განათლება ჩინეთში ყოველთვის ემსახურებოდა როგორც პოლიტიკურ, ასევე პრაქტიკულ მიზნებს. პრეზიდენტ სი ძინფინგის მმართველობის დროს, კვლავ კეთდება აქცენტი იდეოლოგიურ განათლებაზე, ეროვნულ ერთიანობასა და „მორალურად პატიოსანი და პოლიტიკურად ლოიალური“ მოქალაქეების აღზრდაზე. ბოლოდროინდელმა რეფორმებმა გაზარდა პატრიოტული შინაარსის არსებობა სახელმძღვანელოებში, ხაზი გაუსვა მორალურ განათლებას და ხელი შეუწყო ტრადიციულ ჩინურ კულტურას, მარქსისტულ აზროვნებასთან ერთად. ეს რეფორმები ასევე ასახავს ჩინეთის კომუნისტური პარტიის უფრო ფართო მიზანს, დაარეგულიროს კერძო კაპიტალის გავლენა ისეთ მგრძნობიარე სექტორებში, როგორიცაა განათლება. მაგალითად, კერძო რეპეტიტორული კომპანიების წინააღმდეგ ბრძოლა არა მხოლოდ აკადემიური ზეწოლის შემცირებას, არამედ იდეოლოგიურ და სოციალურ განვითარებაზე სახელმწიფო კონტროლის დამყარებასაც ისახავს მიზნად.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ჩინეთმა მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო რეფორმების სერია წამოიწყო, რომელიც მიზნად ისახავს უფრო დაბალანსებული, სამართლიანი და მომავალზე ორიენტირებული სისტემის შექმნას. ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ინიციატივა არის 2021 წელს შემოღებული „ორმაგი შემცირების“ პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის ზედმეტი საშინაო დავალების და სკოლის გარეთ არსებული კერძო რეპეტიტორობის შემცირებას. ამ პოლიტიკის მთავარი მიზანია მოსწავლეებზე აკადემიური ზეწოლის შემსუბუქება, ოჯახებისთვის ფინანსური ტვირთის შემცირება და კომერციული რეპეტიტორობის ინდუსტრიის შეზღუდვა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა რეფორმამ დასაწყისშივე მიაღწია წარმატებას, მან მაინც წარმოშვა ისეთი ისეთი გამოწვევები, როგორიცაა არაფორმალური რეპეტიტორობის ბაზრების გაჩენა და სოფლად მყოფი მოსწავლეების დაბალი აკადემიური მოსწრება.

რეფორმები ასევე შეეხო პროფესიული განათლებასაც, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში პოპულარობით არ სარგებლობდა. ინვესტიციების გაზრდით, სასწავლებელსა და შესაბამისი ინდუსტრიების პარტნიორობით და პრაქტიკული ტრენინგების  პროგრამების მეშვეობით, ჩინეთი მიზნად ისახავს პროფესიული განათლების სტატუსის ამაღლებას, პოპულარიზაციასა და მის შესაბამისობაში მოყვანას განვითარებადი ეკონომიკის საჭიროებებთან. ამ პროცესში კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლების ხელმისაწვდომობა და თანასწორობა. ამიტომ, რეფორმირების პროცესში, უდიდესი ძალისხმევა მიმართულია ქალაქსა და სოფელს შორის არსებული ხარვეზების შესამცირებლად, დაფინანსების გაზრდას, მასწავლებელთა როტაციასა და ტექნოლოგიების ინტეგრაციას რურალურ რეგიონებში (Yu, 2020).

და ბოლოს, უნდა გამოიყოს ჩინეთის ეროვნული მისაღები გამოცდის, „კაოქაოს“ რეფორმა, რომელიც ტესტებზე ორიენტირებული მოდელის მიღმა და სტუდენტების ძლიერი მხარეების წასახალისებლად, საგნების შერჩევისა და ჰოლისტიკური შეფასების უფრო მოქნილ კრიტერიუმებს ნერგავს. ერთობლივად, ზემოთ ჩამოთვლილი რეფორმები ასახავს ჩინეთის მთავრობის სურვილს დანერგოს უფრო ინკლუზიური, უნარებზე დაფუძნებული და ნაკლებად სტრესული საგანმანათლებლო სისტემა, თუმცა მათი განხორციელება ჯერ კიდევ აწყდება პრაქტიკულ გამოწვევებს.

## ტექნოლოგიები და ინოვაციები განათლებაში

ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩინეთის საგანმანათლებლო რეფორმაში, რადგან ის ხელს უწყობს ხელმისაწვდომობის გაფართოებასა და  პედაგოგიური ინოვაციების წახალისებას. ჩინეთის მთავრობა აქტიურად უწყობს ხელს ციფრული სწავლების პლატფორმებს, კერძოდ ხელოვნური ინტელექტით საკლასო ოთახების მოდერნიზებას, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით და თანამედროვე ტექნოლოგიებით  ჭკვიანი საკლასო ოთახების აღჭურვას. ახალი ციფრული გარემო უზრუნველყოფს დიფერენცირებულ სწავლებას და თითქმის ყველა სასწავლო რესურსებზე წვდომას შორეულ პროვინციებში მცხოვრები მოსწავლეებისათვისაც კი. ხელოვნური ინტელექტი ასევე გამოიყენება პერსონალიზებული სასწავლო გამოცდილების უზრუნველსაყოფად, როგორიცაა ონლაინ ტესტირება, მყისიერი უკუკავშირი და გადაწვის რისკის ქვეშ მყოფი სტუდენტების იდენტიფიცირებისა და მხარდაჭერისთვის. COVID-19-ის პანდემიამ კიდევ უფრო დააჩქარა ონლაინ განათლების დანერგვა და წარმოშვა DingTalk-ის და MOOC-ების მსგავსი პლატფორმები, რომ-

ლებიც ცენტრალურ როლს თამაშობდნენ ონლაინ სწავლებაში. თუმცა, ამ ტექნოლოგიურმა ცვლილებამ ასევე გამოიწვია შეშფოთება მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ, განსაკუთრებით კი სტუდენტებში. საპასუხოდ, მთავრობამ გაამკაცრა საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სექტორის რეგულირება, განსაკუთრებით 2021 წელს კომერციალიზაციის მიზნით გატარდა რეპეტიტორთა კომპანიების წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიები, რათა შეეზღუდა ზედმეტი კომერციალიზაცია და უზრუნველყოფილიყო ეროვნულ პრიორიტეტებთან შესაბამისობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი განათლებაში ტექნოლოგიურ განვითარებას უჭერს მხარს, ამას მაინც ზედამხედველობის ფარგლებში აკეთებს, რომლის მიზანიცაა ინოვაციების, სოციალური თანასწორობისა და სახელმწიფო კონტროლის დაბალანსება. (BBC News, 2021)

ჩინეთის საგანმანათლებლო რეფორმების ამბიციურმა მიზნებმა, მაინც მნიშვნელოვანი კრიტიკა გამოიწვია. გამოცდებზე ორიენტირებული კულტურის მდგრადი დომინირება ძირს უთხრის ჰოლისტიკური შეფასების ძალისხმევას, ქულები კი კვლავ წარმატების მთავარ საზომად ითვლება საგანმანათლებლო სისტემაში. პროვინციებს შორის მაინც არსებობს უთანასწორობა, რადგან ქალაქის სკოლები რეფორმებს უფრო ეფექტურად ახორციელებენ, ვიდრე არასაკმარისი რესურსებით უზრუნველყოფილი სოფლის სკოლები. (The Economist, 2022) ამასობაში, ახალგაზრდების არასაკმარისი რაოდენობით დასაქმება და აკადემიურ შედეგებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის მზარდი შეუსაბამობა შეშფოთებას იწვევს სისტემის მიმართ. „ორმაგი შემცირების“ პოლიტიკამ ასევე გამოიწვია მშობლების შეშფოთება და უნებლიეთ გააძლიერა მიწისქვეშა რეპეტიტორობის ბაზრები, რაც კიდევ უფრო ზღუდავს განათლების

თანაბარ ხელმისაწვდომობას. ამავდროულად, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების წინააღმდეგ რეპრესიებმა შეზღუდა ინოვაციები და ინვესტორების მხრიდან ნდობა. აღნიშნული გამოწვევები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს განათლების რეფორმის სირთულეს ისეთ დიდ და მრავალფეროვან ქვეყანაში, როგორიც ჩინეთია. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის განზრახვები კეთილშობილურ მიზნებს ემსახურება, შედეგები მაინც არათანაბარია.

## მომავლის პერსპექტივა და დასკვნა

სამომავლოდ, ჩინეთის საგანმანათლებლო რეფორმების განხორციელებას დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ, რათა სისტემა გარდაიქმნას უფრო სამართლიან, ინოვაციურ და ეროვნულ პრიორიტეტებთან შესაბამის სისტემად და შეეწინააღმდეგოს წარსულის მემკვიდრეობას და სწრაფად ცვალებად გლობალური პოლიტიკის ზეწოლას. მოსალოდნელია, რომ განათლების თანასწორობა და ხელმისაწვდომობა ცენტრალურ ადგილს დაიკავებს რეფორმირების პროცესში. მთავრობის მხრიდან კი ინვესტიციების ზრდა მიმართული იქნება სოფლებსა და შორეული პროვინციებისკენ, რათა გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურა, მასწავლებლები სწორად გადანაწილდნენ სკოლებში და მაქსიმალურად მოხდეს ქალაქსა და სოფელს შორის არსებული უფსკრულის ამოვსება. ასევე მოსალოდნელია, რომ კიდევ ერთხელ გადაიხედება საშუალო სკოლებსა და უნივერსიტეტებში არსებული ჩარიცხვის სისტემები, რაც მიზნად ისახავს ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობას და გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას. ამავდროულად, მთავრობა სულ უფრო მეტ ყურადღებას გაამახვილებს პროფესიულ განათლებაზე და საჭირო უნარებზე დაფუძნებ-

ული სამუშაო ძალის ხელშეწყობაზე. რაც აუცილებელია მოსახ-ლეობის დაბერების, ავტომატიზაციის ზრდისა და ისეთი ახალი სექტორების ხელშეწყობის გათვალისწინებით, როგორიცაა ხელ-ოვნური ინტელექტი, მწვანე ენერგია და წარმოების გაზრდა. ასევე გაღრმავდა იდეოლოგიური განათლებაც, განსაკუთრებით სი ძინფინგის ხელმძღვანელობის პერიოდში, ყურადღება უფრო მეტად გამახვილდება სოციალისტური ღირებულებებისა და ქვეყნის სიყვარულის შესწავლაზე. შესაძლოა დაჩქარდეს პანდ-ემიის შემდგომი ჰიბრიდული სწავლებისკენ გადასვლა, თუმცა ეს ინოვაციები ასევე მოითხოვს მონაცემთა კონფიდენციალურ-ობის, პლატფორმის რეგულირებისა და ციფრული უთანასწორ-ობის საკითხების დაცვას. თუმცა, შესაძლოა, ჩინეთის წინაშე არსებული ყველაზე დიდი დაბრკოლება მაინც კულტურული ხასიათიდან მოდის, კერძოდ რეფორმებით გამოწვეული გადაღ-ლილობა, საზოგადოებრივი ზეწოლა და აქამდე არსებული სწავ-ლების ფესვგადგმული მიდგომები კვლავ ეწინააღმდეგება ცვლ-ილებებს საწყის დონეზე. განსაკუთრებით მშობლების, პედა-გოგებისა და სტუდენტებს შორის  რჩება რისკი, რომ ბევრი რეფ-ორმა მხოლოდ ფორმალური ხასიათის იქნება და რეალურად არ განხორციელდება. საბოლოო ჯამში, ამ რეფორმების წარმატება განსაზღვრავს არა მხოლოდ ჩინეთის სამუშაო ძალის მომავალს, არამედ საზოგადოების ერთიანობას და მისი როგორც გლობ-ალური საგანმანათლებლო აქტორის გავლენას, მომდევნო ათწლეულების განმავლობაში.

საბოლოო ჯამში, ჩინეთის საგანმანათლებლო სისტემა ამბ-იციებისა და წინააღმდეგობების გზაჯვარედინზე დგას. მისი მომავალი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად კარგად შეძლებს ის საზოგადოებაში ფესვგადგმული განათლების სისტემის პრა-

ქტიკის ტრანსფორმაციას სოციალური ერთიანობისა და საგანმანათლებლო სრულყოფილების შენარჩუნებით.

## ბიბლიოგრაფია:


China State Council. (2019). *Outline of China's education modernization 2035*. http://english.www.gov.cn

Liu, Y., & Dunne, M. (2009). Educational reform in China: Tensions between policy and practice. *Compare: A Journal of Comparative and International Education, 39* (1), 45–58. https://doi.org/10.1080/03057920801966684

Ministry of Education of the People's Republic of China. (2021). *Notice on further reducing the burden of homework and off-campus training for students in compulsory education* [“双减”政策通知]. http://en.moe.gov.cn

OECD. (2016). *PISA 2015 results: Excellence and equity in education (Vol. I)*. OECD Publishing. https://doi.org/10.1787/9789264266490-en

Sixth Tone. (2021, July 26). Behind China's tutoring ban: Parental anxiety and an unequal education system. *Sixth Tone*. htt ps://www. sixthtone.com/news/1007941

Tan, C. (2017). A Confucian perspective of “Double Reduction”: Educational equity and moral development. *Educational Philosophy and Theory, 49*(9), 897–906. https://doi.org/10.1080/00131857.2016.1252897

The Economist. (2022, April 2). Why Chinese education is still so competitive despite reforms. *The Economist*. https://www.Economist.com /china/2022/04/02

UNESCO. (2020). *Global education monitoring report 2020: Inclusion and education – All means all*. UNESCO Publishing. https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000373718

Yu, Z. (2020). *Education policy and reform in China*. Springer. https://doi.org/10.1007/978-981-15-4048-9

Zhang, H., & Xie, Y. (2016). Education inequality in China: Political economy and social outcomes. *Annual Review of Sociology, 42*, 615–635. https://doi.org/10.1146/annurev-soc-081715-074120

BBC News. (2021, July 26). China bans for-profit tutoring in sweeping education reform. *BBC News*. https://www.bbc.com/news/world-asia-china-57926368